| **5.მოიძიებს და იყენებს** ინგლისურ ენაზე არსებულ წერილობით წყაროებს, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს; ეფექტურად **იყენებს** ტექნოლოგიებს და ელექტრონულ რესურსებს. | პირდაპირი შეფასების მეთოდი - კრებსითი გამოცდის საფუძველზე. | მე-8 სემესტრის ბოლოს **სასწავლო კურსები** ინგლისური ენა I-VI ,ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა - ინგლისური ლიტერატურის ისტორია; | არაპირდაპირი შეფასების მეთოდი- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. სტუდენტთა გამოკითხვა | პროგრამის დასრულების შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს | A-9%<br>B-24%<br>C- 26%<br>D-21%<br>E-18%<br>Fx.1%<br>F-1% |
| **6.ამჟღავნებს** დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს. | პირდაპირი შეფასების მეთოდი - პროექტის, თარგმანის, ესეს, პრეზენტაციის შესრულების პერიოდში | მე-7, მე-8, სემესტრების ბოლოს **სასწავლო კურსები** ინგლისური ენა VI დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა დარგობრივი ინგლისური , ტურიზმის/ ან მასმედიის ენა | არაპირდაპირი შეფასების მეთოდი- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; დამსაქმებლების გამოკითხვა. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. სტუდენტთა გამოკითხვა | პროგრამის დასრულების შემდეგ მუშაობის დაწყების პირველ წელს | A-9%<br>B-20%<br>C- 25%<br>D-24%<br>E-20%<br>Fx.1%<br>F-1% |

XIII **.დასაქმების სფერო:**

აღნიშნული ცოდნით და უნარებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი

პროგრამის კურსდამთავრებული მზადდება, როგორც კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია დასაქმდეს:

- საბაზო და საშუალო სკოლებში(შესაბამისი სერთიფიცირების შემდეგ);
- უცხოურ ფირმებში;
- სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- კერძო სტრუქტურებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში;
- ტურისტულ ფირმებსა და სათარჯიმნო ბიუროებში;
- სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ პროექტებში, სადაც მოთხოვნაა ინგლისური ენის უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტზე;

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
2. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
2[1].საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
4. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
დასკვნითი შეფასება.
5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
7.-შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.

## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი)

**I.ფაკულტეტის დასახელება:** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
**II. პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**
**III. დარგი/პროფესია:** პედაგოგიკა, რეგულირებადი
**IV. პროფესიის დასახელება:** საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი
**V. სწავლის სფერო:** მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
**VI. სწავლების ენა:** ქართული
**VII. კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე:** კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს დონე VI დონე
**VIII. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** არ ენიჭება
**IX.პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს.
**X. პროგრამის ხელმძღვანელი:** პედაგოგიკის დოქტორი, **პროფესორი ირმა ქურდაძე**
**XI. პროგრამის აკრედიტაცია:** 2016 წ. 17 მარტის N1 გადაწყვეტილება **(აკრედიტაციის ვადა** 01/07/2025**წ.)**
**XII. პროგრამის განახლების თარიღი: 2022**
**XIII. პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა **- 60 კრედიტი**

- ზოგადი განათლების მოდული - 25 კრედიტი
- სწავლების დიდაქტიკა/მეთოდიკის მოდული - 15 კრედიტი
- პრაქტიკის მოდული - 10 კრედიტი
- არჩევითი / თავისუფალი კომპონენტების მოდული - 10 კრედიტი

**XII. პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანს წარმოადგენს უპასუხოს საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, მოამზადოს შემოქმედებითი პედაგოგიური აზროვნების მქონე ისეთი უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც:

- წარმატებით გაუძღვება ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს;
- დააკმაყოფილებს და მოერგება რეგიონის საჭიროებებსა და სპეციფიკას;
- გამოიყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;
- გააუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე;
- სრულყოფს თავის პედაგოგიურ პრაქტიკას;
- ითანამშრომლებს კოლეგებთან პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისთვის.

პროგრამის მიზანია ქართული ენისა და ლიტერტურის, უცხოური ენის, მათემატიკის (როგორც ქართულენოვან, ისე ბილინგვურ სკოლებში), ისტორია/საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლის მომზადება, როგორც საბაზო, ისე საშუალო სკოლის საფეხურებისთვის.
პროგრამა შემუშავებულია მასწავლებლის პროფესიის სახელმწიფო რეგულირების საფუძვლების, მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის, 2015 წლის სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ანგარიშის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით და ემსახურება ხარისხიანი განათლების დამკვიდრებას.
**XIII . დასაქმების სფერო:**

- სკოლის საბაზო და საშუალო საფეხური;
- განათლების რაიონული რესურსცენტრები;
- საჯარო სამსახურების განათლების მიმართულება;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი;
- არაფორმალური განათლების სექტორი.

**XIV. სწავლის შედეგი:**

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | 1. იცის ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები და სტრუქტურა. |

| | |
|---|---|
| | 2 იცის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა, იცის ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტებზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.<br>3.იცის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ტიპები, პრინციპები და მეთოდები, სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენება; როგორ გააანალიზოს შეფასების შედეგები. შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები - იმისათვის, რომ გაზარდოს მოტივაცია მოსწავლის უნარ-ჩვევების განსავითარებლად კრიტიკულ აზროვნებაში, პრობლემის გადაჭრის პროცესში, აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლს და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისთვის.<br>4.იცის, როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი (მ.შ. სსსმ მოსწავლის) როგორც ერთენოვან, ისე ბილინგვურ გაკვეთილზე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით. შეფასების ტიპები, პრინციპები და მეთოდები. შეძლებას არსებული რესურსების კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას; შექმნის სასწავლო მიზნის შესაბამის რესურსებს, მათ შორის - ციფრულს, ეცოდინება საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, მათი შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება.<br>5 იცის, როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო; კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორები - საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.<br>6. იცის პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები. აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში. თეორიების კრიტიკულად გაცნობიერებას. იცის, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, იცის სწავლისა და განათლების თეორიები, მოსწავლეების საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითადი მიდგომები - მოსწავლეების ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარების თავისებურებები.<br>7. იცის,სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძორითადი პრინციპები; ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები.<br>8. იცის, მდგრადი განვითარების მიზნები და პრინციპები, გააცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში.<br>9. იცის, პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპები, ფორმები და გზები; განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციები და კვლევები. |
| უნარი<br>დასკვნის გაკეთების უნარი<br>კომუნიკაციის უნარი<br>სწავლის უნარი | 1. შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა საგნის ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეების საზოგადოებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგაკვეთილო გეგმებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა; სკოლის პრიორიტეტების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლია თემატურ სასწავლო გეგმების შედგენა, გაკვეთილის დაგეგმვისას შიდა და საგანთაშორის კავშირების გამოყენება.<br>2. შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის და ხერხის გამოყენება, შეფასების სქემების და რუბრიკების შედგენა და მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტიურ შეფასეა. მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივ გამოყენება თითოეული მათგნის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად; შეძლებს განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენებას თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისათვის, მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების და მოსწავლეთა ობიექტური შეფასების მიზნით.<br>3. შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსები და ICT ტქნოლოგიები სასწავლო გეგმის, მიზნების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებას უწყობს ხელს. შეუძლია მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა საშუალებით ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ ურთიერთობებს, მათი მოტივაციის გაზრდას; თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ინდივიდუალურ |

| | |
|---|---|
| | პროგრესზე დაკვირვებით მოტივაციის ამაღლების შესაბამისი სტრატეგიების არჩევა; სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, კლასგარეშე საქმიანობების (საკლუბო, საწრეო, სასწავლო და სოციალური პროექტების) დაგეგმვას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.<br>4. შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება, სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური სოცილაურ-ემოციური უნარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მართვა; მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირებულ გარემოს უზრუნველყოფა.<br>5.აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი. შეუძლია იმის გაანალიზება, რომ მოსწავლეები ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით განსხვავადებიან სწავლისადმი მიდგომებით და შესაბამისად, სწავლების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ადაპტირებულია სხვადასხვა ტიპის მოსწავლისათვის.<br>6. შეუძლია კლასის მართვას, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება, აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, აირჩევს მოსწავლის მშობლებთან და სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის მიდგომებს.<br>7. შეუძლია მოსწავლეებისათვის ჯანსაღ, უსაფრთხო და წამახალისებელ სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც გამოიყენებს მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.<br>8. შეუძლია სწავლების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების სასწავლო თემებში ინტეგრირება. |
| | 1. შეუძლია თვითშეფასება, კოლეგების, დირექციის, მოსწავლეების და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკულ ანალიზი, პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება, კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა და გამოყენება პრაქტიკაში, განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნა და კვლევები სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისათვის.<br>2. შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება; მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება. |
| | 1. შეუძლია კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემთან ეფექტურ კომუნიკაციას და საქმიანი თანამშრომლობა, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობით და ზეპირ კომუნიკაცია.<br>2. აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, შეუძლია საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიებას, მათ შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენება. |
| | 1. აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, დამუშავება და ანალიზი. აქვს წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და სასწავლო გარემოში ინტეგრირების უნარი.<br>2. შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. პროფესიულ განვითარებას დაგეგმავს საკუთარი საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისა და პროფესიული განვითრების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის გზით. |
| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | 1. იცის მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და იმოქმედებს მის შესაბამისად.<br>2. ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას. ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროოფესიულ |

| | |
|---|---|
| | განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე. გააცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებულ სასკოლო პრაქტიკას.<br>3. გააცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია. ექნება როგორც ლოკალურ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი. შეძლებს საკუთარი და სხვათა პიროვნული ღირებულებების პატივისცემას, ექნება რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მულტიეთნიკურ გარემოში რეალიზების უნარი, ეცოდინება დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობა - მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის, მათი პიროვნული და კოგნიტური განვითარებისა და სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში; მისთვის მნიშვნელოვანია იქნება თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება; გააცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას თავისუფალი სასაწავლო გარემოს შექმნისათვის. |

სტუდენტის შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ჯამურად არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
დასკვნითი შეფასება.

5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
8. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).

## ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

**I.ფაკულტეტის დასახელება:** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
**II. პროგრამის დასახელება:** ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:**
**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
**V. სწავლების ენა:** ქართული
**VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია:** არ ენიჭება
**VII. პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სპეციალობის არჩევით ნაწილში მოიაზრება სტუდენტთა გადანაწილება მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით: ენობრივი კომპეტენციების/სამეტყველო უნარების განვითარება იმ სპეციფიკურ ცნებებზე, ლექსიკასა და ტერმინოლოგიაზე, აგრეთვე დარგისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებზე ორიენტირებით, რომელსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე. (ბაკალავრიატი).
**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** 1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს იმ აბიტურიენტს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის $20^{13}$ მუხლით გათვალისწინებული პირი და რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი:
ა) ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი;
ბ) ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი;
გ) ოსური ენის ტესტი;
დ) აფხაზური ენის ტესტი.
2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა.
3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების შესაბამისად დასაშვებია იმავე წესის მეორე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ ამავე უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი მაკა ბერიძე
**X. პროგრამის აკრედიტაცია:** 24.01.2019; გადაწყვეტილება №25; **(აკრედიტაციის ვადა 24.01.2024 წ.)**

**XI. პროგრამის განახლების თარიღი:**
„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილება №25, 26.07.2022 წ. ოქმი №6.
„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილება №29, 04.09.2023 წ.

**XII. პროგრამის მიზანი:** ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მსმენელს ჩამოუყალიბოს ისეთი ენობრივი კომპეტენციები (B1+/B2 დონე, ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების სკალის (CEFR) მიხედვით), რომელთა საფუძველზე ის შეძლებს: წარმატებულ კომუნიკაციას ქართულ ენაზე და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამაზე) სწავლის გაგრძელებას; ქართული ენის ცოდნის შემდგომ გაღრმავებასა და დამოუკიდებლად გამდიდრებას; ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობას, დაფასებას, პატივისცემას.

**XIII. სწავლის შედეგი:**

| სწავლის შედეგები |
|---|
| თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს **წერილობითი** ფორმით წაკითხული/მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე პროფესიულ/მისთვის ნაცნობ თემებზე, იყენებს წერის სტრატეგიებს დარგობრივი და ფუნქციური ტექსტების შესაქმნელად. |
| **კითხულობს** და იგებს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელ ტექსტს დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით, იყენებს კითხვის სტრატეგიებს ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების აღსაქმელად. |
| იგებს შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების დედააზრს, თუ თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. იყენებს **მოსმენის სტრატეგიებს** ისეთი სასაუბრო მეტყველების გასააზრებლად, რომელსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას. |
| არგუმენტირებულად გადმოსცემს, ხსნის და ასაბუთებს საკუთარ აზრებს, ვარაუდებს. იყენებს **ლაპარაკის სტრატეგიებს** საკუთარი მოსაზრებების, დამოკიდებულებების და განცდების გამოსახატავად. |
| იყენებს შესაბამის ენობრივ საშუალებებს, სათანადო ლექსიკას, გრამატიკას და პროდუცირებისას აკორექტირებს წერილობით/ზეპირ ტექსტებს **ორთოგრაფიის/ორთოეპიის ძ**ირითადი წესების შესაბამისად. |
| პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს, აღიქვამს კულტურულ მრავალფეროვნებას, საკუთარ პოზიციას აყალიბებს ეთიკის ნორმების დაცვით და იყენებს სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად. |

| სწავლის შედეგები | სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები | | | | სამიზნე ნიშნულები |
|---|---|---|---|---|---|
| | პირდაპირი | | არაპირდაპირი | | |
| | მეთოდი | დრო | მეთოდი | დრო | |
| თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს **წერილობითი** ფორმით წაკითხული/მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე პროფესიულ/მისთვის ნაცნობ თემებზე, იყენებს წერის სტრატეგიებს დარგობრივი და ფუნქციური ტექსტების შესაქმნელად. | სწავლის პირველი შედეგი შეფასდება გაცნობა-გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებით, ხოლო საბოლოო შედეგის მიღწევა განისაზღვრება განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსებით: ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია; მართლწერის ძირითადი ნორმები | მე-2 სემესტრის დასრულებისას. | 6. სტუდენტთა გამოკითხვა;<br>7. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2. პროგრამის დასრულებიდან საბაკალვრო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი; | სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 75-80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **კითხულობს** და იგებს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელ ტექსტს დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით, იყენებს კითხვის სტრატეგიებს ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების აღსაქმელად. | სწავლის მეორე შედეგი შეფასდება გაცნობა-გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებით, ხოლო საბოლოო შედეგის მიღწევა განისაზღვრება განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსებით: ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია; (სასერტიფიკატო) გამოცდა | მე-2 სემესტრის დასრულებ ისას. | 1. სტუდენტთა გამოკითხვა; 2. კურსდამთავრე ბულთა გამოკითხვა; 3. პროგრამის ხელმძღვანელი ს დაკვირვება; | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან საბაკალვრო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი; | სტუდენტ თა საერთო რაოდენობ იდან 75-80% დადებითი შეფასება |
| იგებს შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების დედააზრს, თუ თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. იყენებს **მოსმენის სტრატეგიებს** ისეთი სასაუბრო მეტყველების გასააზრებლად, რომელსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას. | სწავლის მესამე შედეგი შეფასდება გაცნობა-გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებით, ხოლო საბოლოო შედეგის მიღწევა განისაზღვრება განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსებით: ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია; მართლწერის ძირითადი ნორმები (სასერტიფიკატო) გამოცდა | მე-2 სემესტრის დასრულებ ისას. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრ ებულთა გამოკითხვა; 3. პროგრამის ხელმძღვანელი ს დაკვირვება; | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან საბაკალვრო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი; | სტუდენტ თა საერთო რაოდენობ იდან 75-80% დადებითი შეფასება |
| არგუმენტირებულად გადმოსცემს, ხსნის და ასაბუთებს საკუთარ აზრებს, ვარაუდებს. იყენებს **ლაპარაკის სტრატეგიებს** საკუთარი მოსაზრებების, დამოკიდებულებების და განცდების გამოსახატავად. | სწავლის მეოთხე შედეგი შეფასდება გაცნობა-გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებით, ხოლო საბოლოო შედეგის მიღწევა განისაზღვრება განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსებით: ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია; (სასერტიფიკატო) გამოცდა | მე-2 სემესტრის დასრულებ ისას. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა; 8. კურსდამთავ რებულთა გამოკითხვა; 3. პროგრამის ხელმძღვანელი ს დაკვირვება; | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან საბაკალვრო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი; | სტუდენტ თა საერთო რაოდენობ იდან 75-80% დადებითი შეფასება |
| იყენებს შესაბამის ენობრივ საშუალებებს, სათანადო ლექსიკას, გრამატიკას და პროდუცირებისას აკორექტირებს წერილობითი/ზეპირ ტექსტებს **ორთოგრაფიის/ორთოეპ** | სწავლის მეხუთე შედეგი შეფასდება გაცნობა-გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებით, ხოლო საბოლოო შედეგის მიღწევა განისაზღვრება განმტკიცებაში | მე-2 სემესტრის დასრულებ ისას. | 9. სტუდენტთა გამოკითხვა; 10.კურსდამთავ რებულთა გამოკითხვა; 3. პროგრამის ხელმძღვანელი ს დაკვირვება; | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან | სტუდენტ თა საერთო რაოდენობ იდან 75-80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **იის** ძირითადი წესების შესაბამისად. | მონაწილე სასწავლო კურსებით: ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია; (სასერტიფიკატო) გამოცდა | | | საბაკალვრო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი; | |
| პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს, აღიქვამს კულტურულ მრავალფეროვნებას, საკუთარ პოზიციას აყალიბებს ეთიკის ნორმების დაცვით და იყენებს სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად. | სწავლის მეოთხე შედეგი შეფასდება გაცნობა-გაღრმავებაში მონაწილე სასწავლო კურსებით, ხოლო საბოლოო შედეგის მიღწევა განისაზღვრება განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსებით: ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია; მართლწერის ძირითადი ნორმები; ტოლერანტობა და მრავალფეროვნება; (სასერტიფიკატო) გამოცდა. | მე-2 სემესტრის დასრულებ ისას. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა; 2.კურსდამთავრ ებულთა გამოკითხვა; 3. პროგრამის ხელმძღვანელი ს დაკვირვება; | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად; 2. პროგრამის დასრულებიდან საბაკალვრო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებელი; | სტუდენტ თა საერთო რაოდენობ იდან 75-80% დადებითი შეფასება |

**დასაქმების სფერო:**
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები სწავლას გაარძელებენ უმაღლესი სასაწავლებლის მომდევნო (ბაკალავრიატის) საფეხურზე ნებისმიერი სპეციალობით, შეუზღუდავად.

**. სტუდენტის შეფასება**

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
2. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ჯამურად არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
დასკვნითი შეფასება.
5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
8. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები).

## დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

I. **ფაკულტეტის დასახელება:** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა
**II. პროგრამის დასახელება:** დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (მაგისტრატურა)
**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი
**V. სწავლების ენა:** ქართული
**VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია და კოდი:** განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხურის I-IV - ინტეგრირებული მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა-ლიტერატურა; I -VI ქართული ენა და ლიტერატურა);
**VII. პროგრამის მოცულობა:** პროგრამის მოცულობა **- 300 კრედიტი**
თავისუფალი კომპონენტების მოდული - **53 კრედიტი** (მათ შორის 17 სავალდებულო, 36 არჩევითი);
**სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის:**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფის მოდული - **187 კრედიტი;**
სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული - **60 კრედიტი.**
**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
1. დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნებად აბარებენ ისტორიას, გეოგრაფიას, ქიმიას, ბიოლოგიას ან ქართული ლიტერატურას. არჩევითი საგნები შერჩეულია პროგრამიდან გამომდინარე და ეფუძნება მასში შემავალი მოდულების უკეთ ათვისების პრინციპს.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აუცილებელი წინაპირობაა აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.
3. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.
3[1] ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების შესაბამისად.
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, რომელიც დაადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების (ქართული ენის) ენის ფლობას არანაკლებ B1 დონეზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
5. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, აგრეთვე შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებსა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებს.
6. პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში ამ წესის მუხლი 6-ის შესაბამისად, მუხლი 8-ის და 10-ის შესაბამისად გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.
**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი ირმა ქურდაძე
**X. პროგრამის აკრედიტაცია:** 2018 წლის 8 აგვისტო №97 (**აკრედიტაციის ვადა** 01/07/2025**წ.**)
**XI. პროგრამის განახლების თარიღი:**

„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილება №25, 26.07.2022 წ. ოქმი №6.
„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილება №29, 04.09.2023 წ.

**XII. პროგრამის მიზანი:** დაწყებითი განათლების მასწავლებლის (I-IV - ინტეგრირებული მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა-ლიტერატურა; I-VI ქართული ენა და ლიტერატურა) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სტუდენტი აღჭურვოს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნით, ჩამოუყალიბოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებები და კომპეტენციები, რომელიც განისაზღვრება უფროსი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით. ასევე საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტებით.
**პროგრამა ითვალისწინებს,** მომავალ პედაგოგს მისცეს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების ცოდნა, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის გაცნობიერებას, მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიების გამოყენებას, სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპების ცოდნას.
**პროგრამა უზრუნველყოფს** სტუდენტებში ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა პედაგოგიური სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი სათანადო მეთოდებზე დაყრდნობით, წარმატებული კომუნიკაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა და საკუთარი სასკოლო პრაქტიკის კვლევა.
**პროგრამა მიმართულია,** სტუდენტებში განავითაროს ახალ გარემოში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების, ავტონომიურობის უნარი, რაც ეფუძნება პასუხისმგებლობის გრძნობას. ყოველივე განაპირობებს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, მულტიკულტურული გარემოს

თავისებურებების გათავისებას, რაც საფუძველია დარგის განვითარებისათვის და ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრაციას.

**XIII. სწავლის შედეგი:**

| პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდული | |
|---|---|
| პედაგოგიურ საქმიანობას წარმართავს საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე, საფუძვლებსა და მარეგულირებელ დოკუმენ-ტებზე დაყრდნობით | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>იცის საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურა და მიზნები, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, იცნობს მასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ დოკუმენტებს, ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>იცის და აცნობიერებს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრის პრიორიტეტებს, პიროვნების ჩამოყალიბებაში სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდის განმაპირობებელ ფაქტორებს.<br>იცის, ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტების მიზანმიმართული გამოყენება მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობაში.<br>**უნარები**<br>შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება.<br>შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) ჩართულობის სტრატეგიების შემუშავება მოსწავლეთა გააზრებული სწავლებისათვის.<br>შეუძლია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზიდან ზუსტი და კონკრეტულის შერჩევა და მისი შესაბამისობის დაასაბუთება იმ მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა.<br>შეუძლია ეფექტური, საქმიანი თანამშრომლობის მიმართულებების დაგეგმვა და ურთიერთობის სტრატეგიების შემუშავება მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ურთიერთობისას, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და და მოგვარებას;<br>შეუძლია სასწავლო გეგმის მიზნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა მიმართულებით. |
| პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების საფუძვლებს იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელებისას | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>იცის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დისციპლინების ძირითადი ასპექტების, პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების, პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპების, ფორმების, გზების, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორები,<br>სტრატეგიების ცოდნაზე დაყრდნობით იცის და **აცნობიერებს** თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობასა და მის როლს.<br>იცის, როგორ შექმნას თითოეული მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგან-წყობილი სასწავლო გარემო, რაც აუცილებელია კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარება-პრევენციისათვის.<br>იცის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითადი მიდგომები. აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით შედეგზე |

| | |
|---|---|
| | ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის;<br><br>**უნარები**<br>შეუძლია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული მათგანის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის უსაფრთხო, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა. შეუძლია მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის კონკრეტული სტრატეგიების შემუშავება მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.<br>შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს და გამოიყენოს დამხმარე რესურსები.<br>შეუძლია მოსწავლეებში იმ უნარების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ICT-ის გამოყენებას სოციალური, ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.<br>შეუძლია კომპლექსური სიტუაციების ანალიზი, პრობლემების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების გააზრება და საბოლოოდ ლოგიკური დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;<br>შეუძლია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების ატმოსფეროს ხელშეწყობა;<br>შეუძლია საგანმანათლებლო ბეჭდური და ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით რესურსების მოძიება, შექმნა და მათი მიზნობრივად გამოყენება სასწავლო პროცესში.<br>შეუძლია სწორი დიფერენცირებული მიდგომების დაგეგმვით მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა მათი პიროვნული და კოგნიტური განვითარების გათვალისწინებით.<br>შეუძლია თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით ინკლუზიურობისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების საფუძველზე შემოქმედებითი სასაწავლო გარემოს შექმნა. |
| **საგნის/საგნობრივი ჯგუფისა და მეთოდური მოდული** | |
| ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსების აკადემიური საბაზისო უნარებზე აგებს სწავლა-სწავლების პროცესს. | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>იცნობს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს. იცის ქართული ენისა და ლიტე-რატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სასწავლო საგნებში საბაზისო მასალა;<br>იცნობს მათემატიკური ოპერაციების, ლოგიკური აზროვნების, სწორი და გამართული მეტყველების სტრატეგიებს, სწავლება/სწავლის-კითხვისა და წერის, წიგნიერების ძირითად კონცეფციებს და აცნობიერებს მათ შესაბამისობას მოცემულ კონტექსტთან; აცნობიერებს ურთერთკავშირს მშობლიური და მეორე ენის წიგნიერებას, ზეპირ და წერით უნარებს შორის. იცნობს საგნების ინტეგრირებული სწავლების მიდგომებს.-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br>იცნობს ბუნებისმეტყველებისადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთობის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების განვითარების (მდგრადი განვითარება) მიზნებს, ძირითად პრინციპებს.<br>**უნარები**<br>შეუძლია სწავლების გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შესაბამისად გაკვეთილის დაგეგმვა გაკვეთილის შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. დაგეგმვისას |

| | |
|---|---|
| | შეუძლია შიდასაგნობრივი კავშირების გათვალისწინება და საგანთა ინტეგრირება. შეუძლია მოსწავლეზე ორიენტირებული კლასგარეშე საქმიანობების დაგეგმვა;<br>სწავლების პროცესში შეუძლია სასწავლო თემებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა. საფეხურის მიზნების გათვალისწინებით.<br>შეუძლია საგნების ინტეგრირებული სწავლების მიდგომების საფუძველზე საგანთა შორის ლოგიკური დანახვა/გააზრება.<br>შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.<br>შეუძლია კოლეგებთან კომუნიკაცია აკადემიურ საბაზისო ცოდნაზე დაყრდნობით.<br>შეუძლია თითოეული მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება. |
| იყენებს სასწავლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზაციის მეთოდურ საფუძვლებს. | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>იცნობს სასწავლო პროცსში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს; იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და გააზრებული აქვს მათი გამოყენების პერსპექტივები.<br>იცის მოსწავლის შეფასება (მ.შ. სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, იცის შეფასების ტიპები, მეთოდები, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები. უნივერსალური დიზაინის პრინციპები.<br>იცის ისეთი ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, კოგნიტური სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ამაღლებს თითოეული მოსწავლის მოტივაციას. იცის კულტურული, ლინგვისტური, ასაკობრივი, ეთნიკური უმცორესობების თავისებურებები. აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის.<br><br>**უნარები**<br>შეუძლია პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას. შეუძლია მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნების, მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა. შეუძლია ხელი შეუწყოს კლასში მოსწავლეთა ინტეგრაციას და აამაღლოს მათი მოტივაცია;<br>შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, სასწავლო პროცესის მართვა, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში, მათთან მუშაობისას დარგის სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინება.<br>შეუძლია სწავლისა და სწავლების, მოტივაციის ამაღლების მრავალფეროვანი სტრატეგიების შერჩევა და ეფექტიანად გამოყენება - მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.<br>შეუძლია თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისათვის შეფასების მეთოდების, მათ შორის |

| | |
|---|---|
| | განმავითარებელი შეფასების მიზნობრივად გამოყენება, შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა.<br>შეუძლია კლასის მართვის პროცესში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეაგირება;<br>შეუძლია შფასების შედეგების ანალიზი და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა.<br>შეუძლია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების სტრატეგიების დაგეგმვა.<br>შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.<br>შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობისათვის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება პოზიტიური, უსაფრთხო, თავისუფლი სასწავლო გარემოს შექმნისათვის. |
| **სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული** | |
| შეუძლია სასკოლო პრაქტიკაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ინტეგრირება და პრაქტიკის კვლევა. | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებს და კვლევებს, იცის კვლევის მეთოდები განათლებაში.<br>იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები.<br>აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.<br>შეუძლია კვლევის დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება და მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩართვა.<br>**უნარები**<br>შეუძლია კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ეფექტური უკუკავშირი. შეუძლია სწორი თვითშეფასება. შეუძლია მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დანერგვა.<br>შეუძლია სასკოლო პრაქტიკის სწორი ანალიზის საფუძველზე (კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება), შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და ეფექტიანობის შეფასება).<br>შეუძლია თანამედროვე კვლევების გამოყენება სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისათვის.<br>შეუძლია დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების პრეზენტაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან;<br>იშეუძლია სიახლეების ათვისება და მათი პრაქტიკაში დანერგვა, კვლევითი კომპონენტის გამოყენება სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის პროცესში. |
| **თავისუფალი კომპონენტების მოდული** | |
| პედაგოგის პროფესიას აკავშირებს პიროვნების პასუხისმგებლობის მქონე, დამოუკიდებლად მოაზროვნე, თანამედრვე მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესთან. | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>ფლობს ენობრივი კომპეტენციების ძირითადი ასპექტებს.<br>იცნობს თანამედროვე მოქალაქის წინაშე მდგარ გამოწვევებს<br>**უნარები**<br>შეუძლია ადაპტაცია მრავალფეროვან გარემოში.<br>აქვს უნარი, შეიძინოს და გამოიყენოს ახალი ცოდნა, თანამედროვე ტენდენციები საკუთარი პროფესიული განვითარებისა და წინსვლისთვის. |

| | |
|---|---|
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები.

**I. ფაკულტეტის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
**II. პროგრამის სახელწოდება:** ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი
**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, **დამატებითი**
**V. სწავლების ენა:** ქართული
**VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:**
**VII. პროგრამის მოცულობა: 60** ECTS კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი - 2 ოცკვირიანი სემესტრი (თითოეულ სემესტრში: 15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 3 კვირა - დასკვნითი გამოცდა, 2 კვირა - დამატებითი გამოცდა).
ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:
ბიზნესის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - **50 კრედიტი;**
ბიზნესის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - **10 კრედიტი;**
**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილ ვადებში სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია;
**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** ცისკარა ზარანდია, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.
**X. პროგრამის აკრედიტაცია:**
**XI. პროგრამის მიზანი:**
**ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია:**

**1. სტუდენტს მისცეს** ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის ძირითადი პრინციპების, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ფართო ცოდნა;
2. ბიზნეს-პროცესების მართვის, ორგანიზაციების საქმიანობის დაგეგმვისა და ეფექტიანი ადმინისტრირების უნარი;

XII. სწავლის შედეგი:

| | სწავლის შედეგები |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | **1. დეტალურად აღწერს:** ბიზნესის მოდელებს, მეთოდებს; ბიზნეს-პროცესებს, მარეგულირებელ სა ორგანიზაციის მართვის ძირითად კონცეფციებს; პროექტების ორგანიზების საკითხებს; **2. განმარტავს:** დაკრედიტების პროცესს, ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ბაზრების ფუნქც ფართო სპექტრს. |

| | |
|---|---|
| | **3. განიხილავს:** თანამედროვე მარკეტინგული ინფორმაციის სისტემის კომპონენტებს, პროდუქტის საფეხურებსა და მომხმარებლის ქცევის მოდელს. |
| უნარი | 4. **იყენებს:** ლიდერობის ან/და თანამშრომლობის პრინციპებს, ორგანიზაციის რეფორმირების კონც შეფასების ძირითად მეთოდებს, მართვისა და მარკეტინგის საბაზისო სტრატეგიებს გადაწყვეტილ პროცესში;<br>5. **აანალიზებს** ინვესტირების, ფინანსირების, აქტივების მართვისა და ბიზნესის ღირებულების შეფ ფინანსური გადაწყვეტილებებს;<br>6. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით **შეიმუშავებს** ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს; |

## ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- **I. ფაკულტეტის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირება
- **II. პროგრამის დასახელება:** ეკონომიკა/Economics
- **III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი
- **IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
- **V. სწავლების ენა:** ქართული
- **VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ეკონომიკის ბაკალავრი/Bachelor of Economics
- **VII. პროგრამის მოცულობა: 240** ECTS კრედიტი
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:
- თავისუფალი კომპონენტები - **47 კრედიტი;**
- ეკონომიკის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - **133 კრედიტი;**
- **დარჩენილი 60 კრედიტის** ათვისება სტუდენტს შეეძლება შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევით:
- 1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული დამატებითი პროგრამა - **60 კრედიტი;**
- 2. თავისუფალი/არჩევითი კურსები - **60 კრედიტი.**
- **VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ მათემატიკას.

- ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აუცილებელი წინაპირობაა აბიტურიენტმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.
- საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის $B_2$ დონეზე ცოდნას.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა დაადასტუროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების (ქართული ენის) ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ ასევე საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებს. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში – უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. პროგრამაზე ასევე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- **IX. პროგრამის ხელმძღვანელები:**
- პროფესორი როინ თათეშვილი
- **X. პროგრამის აკრედიტაცია:** 2014 წლის 19 ნოემბერი, გადაწყვეტილება #207;
- **პროგრამის რეაკრედიტაცია:** 2019 წლის 03 ოქტომბერი, გადაწყვეტილება #186
- **XI. პროგრამის მიზანი:**
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან სრულ შესაბამისობაშია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია, მოამზადოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც **აქვს:**
- 1. ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესების, თეორიებისა და პოლიტიკის ფართო თეორიული ცოდნა;

- 2. გაცნობიერებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკის სფეროს შესწავლით წვლილი შეაქვს ეკონომიკის დარგისა და ზოგადად, საზოგადოების განვითარებაში;
- 3. ეკონომიკური ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეძენილი კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე განზოგადებული დასკვნების გასაკეთებლად;
- 4. გამომუშავებული დამოუკიდებელი აზროვნების, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები, რაც აუცილებელია პროფესიული კარიერისათვის.

- XII. სწავლის შედეგი:

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომელიც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

1. იხილავს და ადარებს ფილოსოფიური აზროვნებისა და ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებების მეცნიერულ სისტემებს;

2. იყენებს ეკონომიკის ძირითად ცნებებს, პრინციპებს, მიკრო და მაკროეკონომიკურ თეორიებსა და კონცეფციებს, აგებს ეროვნულ ანგარიშებს და ეკონომიკურ მოდელებს;

3. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და შეძენილი დარგობრივი ეკონომიკური ცოდნის გამოყენებით აანალიზებს და აფასებს ეკონომიკურ პროცესებს, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, ახდენს მიღებული შედეგების შეჯერებას და სინთეზს;

4. ახდენს ეკონომიკური ამოცანების პარამეტრების გაანგარიშებას ეკონომიკაში მათემატიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების, SPSS -ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, აყალიბებს შესაბამის დასკვნას;

5. აანალიზებს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და გადასახადების შესახებ ინფორმაციებს;

6. ერკვევა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებში, საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის საკითხებში;

7. ამზადებს და წარადგენს ეკონომიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე წერილობითი ანგარიშს, ახორციელებს საქმიან კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას და ავტონომიურობის დემონსტრირებას.

| სწავლის შედეგები | სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები | | | | სამიზნე ნიშნულები/ სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით |
|---|---|---|---|---|---|
| | პირდაპირი | | არაპირდაპირი | | |
| | მეთოდი | დრო | მეთოდი | დრო | |
| 1. იხილავს და ადარებს ფილოსოფიური აზროვნებისა და ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებების მეცნიერულ სისტემებს; | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- ეკონომიკური აზრის ისტორია;<br>- საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი სასწ. კურსი: საქართველოს ეკონომიკა | შესაბამისი სემესტრის ბოლოს და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 75-80% დადებითი შეფასება |
| 2. იყენებს ეკონომიკის ძირითად ცნებებს, პრინციპებს, მიკრო და მაკროეკონომიკურ თეორიებსა და კონცეფციებს, აგებს ეროვნულ ანგარიშებს და ეკონომიკურ მოდელებს; | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- მიკროეკონომიკა 2;<br>- მაკროეკონომიკა 2;<br>- ეროვნულ ანგარიშთა სისტემა; | შესაბამისი სემესტრის ბოლოს<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 75-80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | - ეკონომიკური მოდელირება. | | | | |
| 3. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და შეძენილი დარგობრივი ეკონომიკური ცოდნის გამოყენებით აანალიზებს და აფასებს ეკონომიკურ პროცესებს, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, ახდენს მიღებული შედეგების შეჯერებას და სინთეზს; | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- ეკონომიკური პოლიტიკა 1<br>- ეკონომიკური პოლიტიკა 2<br>- საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი სასწ. კურსი: საქართველოს ეკონომიკა | შესაბამისი სემესტრის ბოლოს და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 75-80% დადებითი შეფასება |
| 4. ახდენს ეკონომიკური ამოცანების პარამეტრების გაანგარიშებას ეკონომიკაში მათემატიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების, SPSS -ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, აყალიბებს შესაბამის დასკვნას; | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- ეკონომეტრიკის საფუძვლები;<br>- SPSS-ის საფუძვლები;<br>- საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი სასწ. კურსი: საქართველოს ეკონომიკა | შესაბამისი სემესტრის ბოლოს და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | პროგრამის დასრულების შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 75-80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5. აანალიზებს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და გადასახადების შესახებ ინფორმაციებს; | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- ფინანსური აღრიცხვა | შესაბამისი სემესტრის ბოლოს<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდ ენტთა საერთ ო რაოდე ნობიდ ან 75-80% დადებ ითი შეფასე ბა |
| 6. ერკვევა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ს განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებე ბში, საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის საკითხებში; | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- საერთაშორისო ეკონომიკა 1<br>- საერთაშორისო ეკონომიკა 2<br>- საბაკალავრო ნაშრომი/სპეცია ლობის არჩევითი სასწ. კურსი: საქართველოს ეკონომიკა | შესაბამისი სემესტრის ბოლოს და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდ ენტთა საერთ ო რაოდე ნობიდ ან 75-80% დადებ ითი შეფასე ბა |
| 7. ამზადებს და წარადგენს ეკონომიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე წერილობითი ანგარიშს, ახორციელებს საქმიან კომუნიკაციას, გუნდურის მუშაობას და | სწავლის შედეგის მიღწევა შემოწმდება გაცნობა, გაღმავებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>- უცხოური ენა 4; | შესაბამისი სემესტრის ბოლოს და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით<br><br>პერიოდულად | სტუდენტს, კურსდამთავრებულს, დამსაქმებელს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია:<br>1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; | პროგრამის დასრულებ ის შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს | სტუდ ენტთა საერთ ო რაოდე ნობიდ ან 75-80% დადებ ითი შეფასე ბა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავტონომიურობის დემონსტრირებას. | - საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი სასწ. კურსი: საქართველოს ეკონომიკა | | 3.დამსაქმებელთა გამოკითხვა; 4.პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება; | | |

**XVI . დასაქმების სფერო:**

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ეკონომისტად სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. კერძოდ, კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:
ნებისმიერი ორგანიზაციულ–სამართლებრივი საკუთრების ფორმის საწარმოები და ორგანიზაციები;
ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები;
საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები საქართველოში;
ანალიტიკური სფეროს დაწესებულებები;
ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები.

**სტუდენტის შეფასება**

1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.

ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
2. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
4. სტუდენტის ცოდნა სასწავლო კომპონენტში ფასდება შუალედური (ერთჯერადი და/ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებებით. დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო. თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა, თუ მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსი ითვლება ჩაბარებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და მიიღო დადებითი შეფასება თითოეულ მათგანში.
5. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასებები (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

6. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად. დასკვნით გამოცდებს ატარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.
8. სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
9. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები.

## ბიზნესის ადმინისტრირების
## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრმა

**I. ფაკულტეტის დასახელება:** ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
**II. პროგრამის სახელწოდება:** ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა
**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი
**V. სწავლების ენა:** ქართული
**VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration (MBA) **0413.1.2**
**VII. პროგრამის მოცულობა: 120 ECTS** კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი - 4 ოცკვირიანი სემესტრი (თითოეულ სემესტრში: 15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 3 კვირა - დასკვნითი გამოცდა, 2 კვირა - დამატებითი გამოცდა).

**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი**
**სასწავლო კომპონენტი - 90კრედიტი (ECTS):**
- ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - **70 კრედიტი;**
- ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - **6 კრედიტი;**
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - **9 კრედიტი;**
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები-**5 კრედიტი**

**კვლევითი კომპონენტი**
- სამაგისტრო ნაშრომი-**30 კრედიტი**

**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა. გადალახა ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სპეციალობის გამოცდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.
საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე კონკურსანტი წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ცოდნის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში (ინგლისური ენის სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციების ჩამონათვალი - TOEFL Paper, TOEFL CBT, TOEFL IBT, IELTS, FCE, CERTUS) (კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისური ენის პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება) ან

აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს მაგისტრანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა დაადასტუროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების (ქართული ენის) ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224/ნ ბრძანების (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად.

პროგრამაზე, ასევე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებს მობილობის წესით. მაგისტრანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეული მიმართულებისგან განსხვავებულ სპეციალობებში. ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** თინა გელაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

**X. პროგრამის აკრედიტაცია:** აკრედიტებული - 2018 წლის 26 ნოემბერი, გადაწყვეტილება № 165

**XI. პროგრამის მიზანი:**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია:**

მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, **რომელსაც აქვს:**

1. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სიღრმისეული და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ეფექტიანი მართვისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის;
2. ბიზნესის გარემოს შეფასების, სტრატეგიული დაგეგმვის, ანალიზის, პროექტირებისა და რთული პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების უნარი;
3. რთული და არასრული ფინანსური ინფორმაციის გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
4. პროფესიული/აკადემიური ეთიკისა და ღირებულებების დაცვით პრაქტიკაში/კვლევაში წვლილის შეტანისა და ინდივიდუალურად/გუნდურად სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარების უნარი.

XII. სწავლის შედეგი:

| | სწავლის შედეგები |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | 1. სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს: ბიზნესის მართვის სფეროში ლიდერობისა და ადმინისტრირების თანამედროვე პრინციპებს, ფუნქციებს, მეთოდებს, მოტივაციის სხვადასხვა თეორიებსა და მოდელებს; მარკეტინგისა და ბრენდინგის კონცეფციებსა და ტენდენციებს;<br>2. კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ფინანსური ინფორმაციის მართვისა და ბიზნესის შეფასების საკვანძო საკითხებზე; |

| | |
|---|---|
| უნარი | 3. აანალიზებს კომპანიის რესურსებს და საჭიროებებს, სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებს, ადამიანური რესურსების დაგეგმვის, შერჩევისა და მოტივაციის სტრატეგიებს, საპროექტო გუნდის შესაძლებლობებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით;<br>4. აფასებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელ სამუშაოებს, საინვესტიციო პროექტებს, ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკსა და ამონაგებს, ბიზნესსა და ქონებას სხვადასხვა მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით;<br>5. კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით ბიზნესის კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებას და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში;დამოუკიდებლად/გუნდთან ერთად შეიმუშავებს პროექტებს, ბრენდის სიძლიერის მატრიცას, ასევე ინდუსტრიის ანალიზის საფუძველზე-ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიას და მარკეტინგულ გეგმას;<br>6. ეფექტურად წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | 7. პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით **იზიარებს** აკადემიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევის განხორციელების პროცესში. |

| **სწავლის შედეგები** | **სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები** | | | | **სამიზნე ნიშნულები** |
|---|---|---|---|---|---|
| | **პირდაპირი** | | **არაპირდაპირი** | | |
| | **მეთოდი** | **დრო** | **მეთოდი** | **დრო** | |
| **სწავლის შედეგი 1**<br>სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს: ბიზნესის მართვის სფეროში ლიდერობისა და ადმინისტრირების თანამედროვე პრინციპებს, ფუნქციებს, მეთოდებს, მოტივაციის სხვადასხვა თეორიებსა და მოდელებს; მარკეტინგისა და ბრენდინგის კონცეფციებსა და ტენდენციებს; | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>შემოწმდება პირველი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>1. ლიდერობა;<br>2. სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში;<br>3. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა;<br>4. სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი; | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 6. სტუდენტთა გამოკითხვა;<br>7. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>8. დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>9. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;<br>10.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად | 3. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>4. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 5. სამაგისტრო ნაშრომი | | მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | | |
| **სწავლის შედეგი 2** კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ფინანსური ინფორმაციის მართვისა და ბიზნესის შეფასების საკვანძო საკითხებზე; | **ცოდნა და გაცნობიერება** შემოწმდება მეორე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>1. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;<br>2. სამაგისტრო ნაშრომი | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;<br>5.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | 1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |
| **სწავლის შედეგი 3** აანალიზებს კომპანიის რესურსებს და საჭიროებებს, სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებს, ადამიანური რესურსების დაგეგმვის, შერჩევისა და მოტივაციის სტრატეგიებს, საპროექტო გუნდის შესაძლებლობებს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და | **უნარები**<br>შემოწმდება მესამე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსის საბოლოო შედეგებით: | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>5. დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>6. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;<br>7. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება;<br>8. სამაგისტრო ნაშრომის | 1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2. პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სისტემების გამოყენებით; | 1.სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში;<br>2. პრაქტიკა<br>3. სამაგისტრო ნაშრომი | | ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | | |
| **სწავლის შედეგი 4**<br>აფასებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელ სამუშაოებს, საინვესტიციო პროექტებს, ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკსა და ამონაგებს, ბიზნესსა და ქონებას სხვადასხვა მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით; | **უნარები**<br>შემოწმდება მეოთხე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>1. კორპორაციული ფინანსები<br>2. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;<br>3. პრაქტიკა;<br>4. სამაგისტრო ნაშრომი. | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;<br>5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | 1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სწავლის შედეგი 5** კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით ბიზნესის კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებას და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; | **უნარები** შემოწმდება მეხუთე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>1. კორპორაციის ფინანსები;<br>2. პრაქტიკა;<br>3. სამაგისტრო ნაშრომი. | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;<br>5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება.<br>თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | 1. სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |
| **სწავლის შედეგი 6** დამოუკიდებლად/გუნდთან ერთად შეიმუშავებს პროექტებს, ბრენდის სიძლიერის მატრიცას, ასევე ინდუსტრიის ანალიზის საფუძველზე- ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიას და მარკეტინგულ გეგმას; | **უნარები** შემოწმდება მეექვსე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>1. სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი;<br>2. პრაქტიკა; | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება;<br>5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება.<br>თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის | 1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 3. სამაგისტრო ნაშრომი. | | სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | | |
| **სწავლის შედეგი 7** ეფექტურად წარადგენს (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით) კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის. | **უნარები** შემოწმდება მეშვიდე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით:<br>1. პრაქტიკა;<br>2. სამაგისტრო ნაშრომი. | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვი რვება;<br>5. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება.<br>6.სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება.<br><br>თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | 1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |
| **სწავლის შედეგი 8** პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით იზიარებს აკადემიურ, სოციალურ და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას პრაქტიკულ საქმიანობასა და კვლევის | **ავტონიმიურობა და პასუხისმგებლობა** შემოწმდება მერვე სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მონიტორინგით, ხოლო საბოლოო შედეგი განისაზღვრება | ყოველი შესაბამისი სემესტრის ბოლოს და IV სემესტრის დასრულებისას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. | 1.სტუდენტთა გამოკითხვა;<br>2.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;<br>3.დამსაქმებელთა გამოკითხვა;<br>4. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვი რვება; | 1.სწავლების პერიოდში, პერიოდულად აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პარალელურად;<br>2.პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ; | სტუდენტთ საერთო რაოდენობიდან 80% დადებითი შეფასება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| განხორციელების პროცესში. | განმტკიცების მიღწევაში მონაწილე სასწავლო კურსების საბოლოო შედეგებით: 1. პრაქტიკა; 2. სამაგისტრო ნაშრომი. | | 5. პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასება. 6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. თითოეულ მათგანს გაეგზავნება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც შეფასდება: სრულყოფილად მიაღწია, მეტწილად მიაღწია, ნაწილობრივ მიაღწია: | | |

**XVI. დასაქმების სფერო:**
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა:
ბიზნეს-სექტორი;
საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები;
საჯარო და კერძო სექტორები;
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციები;
არასამთავრობო სექტორი;
საერთაშორისო ორგანიზაციები.
საგანმანათლებლო დაწესებულებები.

**XVIII. სტუდენტის შეფასება**
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ჯამურად არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
დასკვნითი შეფასება.
5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
6. საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
7. შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
8. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).

სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) დარგობრივი კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულით, ფაკულტეტების მიერ შემუშავებული შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტისათვის პირველი მუხლის ,,ზ“ პუნქტის „ზ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამავე მუხლის ,,ზ“ პუნქტის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.

# ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**I. ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი**
**II. პროგრამის სახელწოდება:** ეკონომიკა / Economics (0311)
**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** დოქტორანტურა
**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი
**V. სწავლების ენა:** ქართული
**VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია:** ეკონომიკის დოქტორი / PhD in Economics
**VII. სასწავლო კომპონენტი: 60** ECTS (კრედიტი)
**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი დარგობრივ საგამოცდო კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- დოქტორანტობის კანდიდატი კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს წარადგენს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის წერილთან ერთად.
- კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე;
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა, გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება). გამოცდა ბარდება დარგობრივი საგამოცდო კომისიის წინაშე.
- დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოეთხოვება ქართული (გარდა ინგლისურენოვანი პროგრამისა) ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია, წარმოადგინოს ქართული ენის B2 და ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65 points); IELTS (at least 5.5 points); FCE), ან ქართული/ინგლისური საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ/ინგლისურენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის/ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)" შესაბამისად). გამოცდა ბარდებადარგობრივი საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.
- საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ტარდება ზეპირი ფორმით, დარგობრივი საგამოცდო კომისიის წინაშე, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა) (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია, განიხილავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გოჩა თუთბერიძე
**X. პროგრამის აკრედიტაცია:** აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: №244, 13.12.2019
**XI. პროგრამის მიზანი:**
სადოქტორო პროგრამის მიზანია:
1. მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები და შეეძლება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დაგეგმოს და ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა ეკონომიკის სფეროში;
2. მისცეს სტუდენტებს კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნა პრობლემათა გადაწყვეტის უნარის გამომუშავება და პრაქტიკული კვლევების განხორციელების მეთოდების დაუფლება;
3. გააცნოს დოქტორანტი კვლევის ეთიკურ ნორმებს და განუვითაროს მას ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი.

**XII. სწავლის შედეგი**

| |
|---|
| 1. ხსნის, აღწერს და აანალიზებს ძირითად ეკონომიკურ მოდელებს;<br>2. აანალიზებს ქვეყნების, რეგიონების, ორგანიზაციების, დარგების, ფირმების ეკონომიკებსა და ინსტიტუციონალურ მექანიზმებს;<br>3. ახდენს სტატისტიკური მონაცემების რეგრესიული მოდელების გენერირებას და ინტერპრეტირებას;<br>4. განსაზღვრავს მონაცემთა წყაროებს, აღწერს შესაბამისი ემპირიულ ინსტრუმენტებს და<br>ახორციელებს მონაცემთა გამოკვლევას, რომელსაც ის მიიღებს ორიგინალური კვლევების ან ოფიციალური და დარგობრივი წყაროებიდან;<br>5. აფასებს ეკონომიკურ გამოწვევებს და სახელმწიფო პოლიტიკას, ეკონომიკური მოდელების და მონაცემთა ანალიზის გამოყენებით;<br>6. წარადგენს საკუთარ კვლევას წარმატებულად სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით მათ შორის უცხოურ (ინგლისური ენა) ენაზე;<br>7. ახდენს ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარებას უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე;<br>8. აყალიბებს დასაბუთებულ აზრს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში და აღიარებს დასაბუთებულ საწინააღმდეგო აზრს; |

| სწავლის შედეგები | სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები | | | | სამიზნე ნიშნულები/ სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით |
|---|---|---|---|---|---|
| | პირდაპირი | | არაპირდაპირი | | |
| | მეთოდი | დრო | მეთოდი | დრო | |
საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე. კონკურსანტისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა ინგლისურ ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს,

კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი პროგრამა (ბაკალვრიატი/მაგისტრატურა) გამოცდის ჩაბარება ან/და საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება.

დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, მოეთხოვება ქართული და ინგლისური ენების ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე, ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არა ნაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე. იგი ვალდებულია, წარმოადგინოს ქართული და ინგლისური ენების B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ და ინგლისურ ენებში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. ქართული და ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ქართული და ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.

ქართული და ინგლისური ენების B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, იმართება სადოქტორო თეზისის/პროექტის განხილვა (დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება მაქსიმუმ 40 ქულით, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა) და საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ტადება ზეპირი ფორმით, დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა) (იხილეთ მიღების დოკუმენტი).

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. ფაკულტეტის საბჭო (სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით) განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას.

მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია, განიხილავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობისთვის.

თანაბარქულებიანი კონკურსანტების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული გამოცდილება და სხვა დოკუმენტები (საგრანტო პროექტები, სერთიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) (იხილეთ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის მიმართულების დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება).

დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახლგაზრდობის მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა“ და ამავე სამინისტროს მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №141/ნ შესაბამისად.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:** ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მაკარაძე

**X. პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და არსებული ცოდნის განვითარებაზე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, უმაღლესი და პროფესიული განათლების ინტეგრირების, სწავლებისა და კვლევის გზით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.

უნივერსიტეტს ვეტერინარიის მიმართულებით აქვს უნიკალური ადამიანური რესურსი მაღალკვალიფიციური პროფესურის სახით, საერთაშორისო კავშირები და მნიშვნელოვანი მემორანდუმები და ხელშეკრულებები ურთიერთანამშრომლობის შესახებ, რაც ქმნის სრულყოფილ გარემოს, როგორც დარგობრივი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის, ასევე ინტერდისციპლინარული კვლევების განხორციელების, მთლიანობაში კი შესაძლებლობას იძლევა მომზადდეს კვლიფიციური ვეტერინარიის დოქტორი, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროგრამის მიზანია:

1. დოქტორანტმა დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ვეტერინარიის მიმართულებით, ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით;
2. კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ვეტერინარიის მიმართულებით დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და პედაგოგიური სწავლება, ასევე შეძლონ ვეტერინარული განათლება შეუსაბამონ საერთაშორისო და ეროვნული ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნებს;
3. *ვეტერინარიაში სამეცნიერო-კვლევთი საქმიანობის გააქტიურება, სამეცნირო კვლევების ხარისხის ამაღლება და მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.*

დასაქმების სფეროები:

ვეტერინარის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხი და უფლება ექნებათ იმუშაონ:

- სავეტერინარი და სამედიცინო მიმართულების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სამეცნიერო ცენტრებში, სადიაგნოსტიკო ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- შესაბამის სახელმწიფო უწყებებში;
- ფარმაცევტულ საწარმოებში;
- სავეტერინარო კლინიკებსა და ლაბორატორიებში;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოებსა და ფაბრიკებში;
- ვეტერინარიის დოქტორს შეუძლია დაიკავოს მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულებათა საშტატო ნომენკლატურით.

XII. სწავლის შედეგი:

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი სწვლის შედეგები:

| | | |
|---|---|---|
| სწავლის შედეგები | ცოდნა და გაცნობიერება | 1. აქვს ვეტერინარიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის განმტკიცებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებაა ვეტერინარული მეცნიერების ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა პოპულაციური და გამოყენებითი კლინიკური ვეტერინარია; ფლობს ტრანსფერულ უნარებს. |

| | | |
|---|---|---|
| | | 2. აცნობიერებს ვეტერინარიის მიმართულებით ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნის საჭიროებას ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით. |
| | უნარი | 3. ამუშავებს ადეკვატურ მეთოდოლოგიას კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების, ზედამხედველობისა და კვლევებში ექსპერიმენტული მოდელის შესაქმნელად;<br>4. პრობლემის გადაჭრისათვის მოიძიებს ინფორმაციას, იღებს სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებას შესაბამისი კვლევების განხორციელების შესახებ, ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას;<br>5. ვეტერინარიაში განხორციელებული კვლევის შედეგებს წარმატებით ნერგვას პრაქტიკაში;<br>6. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გამართულ თემატიურ დისკუსიებში, არგუმენტირებულად წარმოაჩენს და იცავს საკუთარ პოზიციებს, ისმენს და აფასებს საწინააღმდეგო მოსაზრებას, აკადემიურად მონაწილეობს სამეცნიერო კამათში. დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს არსებულ და ახალ ცოდნას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე. |
| | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | 7. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომსა და პუბლიკაციებს. აგრძელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ლაბორატორიებში, ინდივიდუალურად და ჯგუფურად მუშაობს სამეცნიერო კვლევებზე სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, სწავლება-სწავლას ახორციელებს უახლესი მეთოდებისა და მათი სტრატეგიათა კომბინაციით. |

**XIX . სტუდენტის შეფასება**

**სასწავლო კომპონენტში** დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პორცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

**სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:**

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.

**სადოქტორო სემინარი** ფასდება ასქულიანი სისტემით: სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ. ხელმძღვანელი აფასებს 60 ქულით, კომისია - 40-ით. ხელმძღვანელის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 31 და მეტი ქულით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება 20 და მეტი ქულა. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება 51 და მეტი ქულა.

**პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:**

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა,
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები.

**სადისერტაციო ნაშრომის შეფასება**
დისერტაციის შეფასებისათვის დარგობრივი კოლეგიის თითოეული წევრი იყენებს შემდეგ სქემას:
ა) ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულმოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი(insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი(sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს;
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ისა და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად დასაშვებია „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ პუნქტით განსაზღვრული შეფასების სისტემა შეუსაბამოს ქულობრივ მაჩვენებლებს.

დისერტაცია დაცულად ითვლება „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში და დოქტორანტს ენიჭება ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში („ვ"პუნქტი) დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში („ზ"პუნქტი) დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
ვეტერინარის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

**I. ფაკულტეტის დასახელება:** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
**II. პროგრამის დასახელება:** ინფორმატიკა
**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** დოქტორანტურა
**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური
**V. სწავლებისენა:** ქართული
**VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ინფორმატიკის/Informatics - დოქტორი/PHD/Doctor

**VII. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა**: დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობა 3 წელია (ექვსი სემესტრი).
სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს ორ კომპონენტს:
სასწავლო კომპონენტი - 45 კრედიტი (1 კრედიტი 25 სთ.);
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.
სასწავლო კომპონენტი:
სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა 45 კრედიტია, იგი მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. დოქტორანტი, საკვლევი თემის თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სამეცნიერო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.
სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან დოქტორანტისათვის სავალდებულოა:
პროფესორის ასისტენტობა - 15 კრედიტი;

სემინარი - 15 კრედიტი;
ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები 10 კრედიტი;
ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები 5 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი:
სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა.

**VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ: ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, მათემატიკის და ფიზიკის სპეციალობებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობისაგან განსხვავებულ სპეციალობაში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა. მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტებისა და სხვა ასპექტების შესახებ.

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე;
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატს რომელსაც გავლილი აქვს ინგლისური ან დასავლეთ ევროპულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა, გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება). გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე.
- დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოეთხოვება ქართული (გარდა ინგლისურენოვანი პროგრამისა) ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია, წარმოადგინოს ქართული ენის B2 და ინგლისური ენის B1 (თუ ადასტურებს ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე) ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65 points); IELTS (at least 5.5 points); FCE), ან ქართული/ინგლისური/დასავლეთ ევროპული საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ან ჩააბაროს

გამოცდა ქართულ/ინგლისურ/დასავლეთ ევროპულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის/ინგლისურის/დასავლეთ ევროპულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)“ შესაბამისად). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.

- საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ტადება ზეპირი ფორმით, დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა) (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.
- საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია, განიხილავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობისთვის.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი:**

**ვასილ ტაბატაძე** - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საკონტაქტო ინფორმაცია:ელ.ფოსტა – vasilitabatadze@gmail.com ტელ.: 599 00 60 94).

**ლერი ნოზაძე** - სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორიlerinozadze@yahoo.com 555 94 20 52

**X პროგრამის აკრედიტაცია** 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება № 28.

**XI პროგრამის მიზანი:**

1. ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას და დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მეცნიერად ინფორმატიკის მიმართულებით, რომელსაც ექნება დარგის უახლესი ცოდნა და შეეძლება განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევები
2. გადაჭრას მრავალპარამეტრიანი ამოცანები LINUX ოპერაციული სისტემა GRID ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირება და პროგრამული რეალიზება;
3. ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირება; ელექტრომაგნიტური შემთავსებლობა, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაცია;
4. მონაცემთა ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაცია ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით. დიდ მონაცემთა საცავებთან მუშაობა და OLAP კუბების დაპროექტება.

**XII. სწავლის შედეგები:**

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი სწვლის შედეგები:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | 1. აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამირების ენების გამოყენების საფუძველზე ობიექტური მოდელის აგება, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, დიდ მონაცემთა თანამედროვე კონცეფციები, მართვისა და დაცვის თანამედროვე კვლევის მეთოდები და ტექნოლოგიები) დამყარებული ცოდნა.<br>2. აცნობიერებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და გადაფასების გზით მისი არეალის გაფართოების, განახლების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას. |
| უნარი | 3. გადაჭრის მრავალპარამეტრიან ამოცანებს LINUX ოპერაციული სისტემა GRID სერვერებისათვის, ახდენს ოპტიმიზაციის ამოცანების და დეტერმინისტური მეთოდების მათემატიკური მოდელირებას და პროგრამული რეალიზებას;<br>4. ახდენს ელექტრომაგნიტური მოვლენების (დიფრაქციის და გაბნევის) ამოცანების კომპიუტერული მოდელირებას, ელექტრომაგნიტური შემთავსებლობას, დედაპლატის სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მინიმიზაციას;<br>5. იყენებს ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებას, აპროექტებს მონაცემთა ბაზებს, მონაცემთა ბაზებში ასრულებს მოთხოვნათა ოპტიმიზაციას ევოლუციური და გენეტიკური პროგრამირების ალგორითმებით, მუშაობს დიდ მონაცემთა საცავებთან და აპროექტებს OLAP კუბებებს, იძიებს პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად ეფექტურ გზებსა და იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად;<br>6. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს და ახორციელებს კვლევებს, ეფექტურად წარმოაჩენს ახალი ცოდნას, მეცნიერულ დასკვნებსა და არგუმენტებს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას; |
| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | 7. სწავლის, საქმიანობის და კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, აქვს ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა. შეუძლია დარგის შესაბამის სფეროში მეცნიერულ კვლევებსა და ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციურობის და დამოუკიდებლობის დემონსტრირება და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრება. |

XVI. დასაქმების სფეროები:

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება თანამედროვე მეცნიერული აზროვნება, დარგის უახლესი მიღწევების და სიღრმეების ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის მეცნიერული გადაჭრის უნარი, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები.

XVII . სტუდენტის შეფასება

სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პორცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციით განსაზღვრული დადებითი

შეფასების ვერმიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით.

ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.

სადოქტორო სემინარი ფასდება ასქულიანი სისტემით: სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ. ხელმძღვანელი აფასებს 60 ქულით, კომისია - 40-ით. ხელმძღვანელის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 31 და მეტი ქულით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება 20 და მეტი ქულა. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება 51 და მეტი ქულა.

პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ზ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა,
ზ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება
დისერტაციის შეფასებისათვის დარგობრივი კოლეგიის თითოეული წევრი იყენებს შემდეგ სქემას:
ა) ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულმოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი(insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი(sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს;
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ისა და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად დასაშვებია „ა", „ბ",„გ", „დ", „ე" პუნქტით განსაზღვრული შეფასების სისტემა შეუსაბამოს ქულობრივ მაჩვენებლებს.

დისერტაცია დაცულად ითვლება „ა", „ბ", „გ", „დ", „ე" პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში და დოქტორანტს ენიჭება ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.
არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში („ვ"პუნქტი) დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში („ზ"პუნქტი) დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

## სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა

I. ფაკულტეტის დასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
II. პროგრამის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე: ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა/Doctoral Program of Astronomy
III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა
IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
V. სწავლების ენა: ქართული
VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე: ფიზიკის დოქტორი/PHD in Physics

დეტალური სფეროს დასახელება და კვალიფიკაციის კოდი: 0533 ფიზიკა

VII. <u>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:</u> პროგრამა მოიცავს 50 კრედიტს (1 კრედიტი 25 სთ), ძირითადი პერიოდი 3 წელი

სასწავლო კომპონენტი (განხორციელებას **უზრუნველყოფს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი)**:

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტის მინიმალური რაოდენობაა 50 კრედიტი, იგი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს. დოქტორანტი სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან დოქტორანტისათვის სავალდებულოა:

პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი (კრედიტები ითვლება სასწავლებელში ამ კურსისადმი მინიჭებული კრედიტების მიხედვით);

სემინარი - 15 კრედიტი;

სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (4 სავალდებულო და 6 არჩევითი):

- სამეცნიერო წერის მეთოდები - 5 კრედიტი;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი;
- კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი;
- დამზერილი მასალის მათემატიკური დამუშავება და მოდელები - 4 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 6 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი (განხორციელებას **უზრუნველყოფს საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია)**: სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა.

დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის 2 ნაშრომი მაინც პირველი ავტორობით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus ან/და Claryvate analytics-ით 1-ზე უფრო მაღალი იმპაქტ-ფაქტორით/CiteScore/. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების წარდგენისას აუცილებელია წარმოდგენილ იქნას პერიოდიკის ყდის, შინაარსის და თავად ავტორის მიერ დაწერილი სტატიის ქსეროასლი; სამეცნიერო სტატიის ინტერნეტ გამოცემის ფორმატში წარდგენისას აუცილებელია მითითებულ იქნას ინტერნეტ გამოცემის მისამართი, ინტერნეტ გამოცემის პირველი გვერდის, სარჩევისა და თვითონ სტატიის ამონაბეჭდი. სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებული ნუსხის გარდა საართველოსა და უცხოეთში გამომავალ სხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების აღიარების საკითხს სადისერტაციო საბჭო განიხილავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

**# როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტები განხორციელდება მხარეთა მიერ კოორდინირებული მოქმედების საფუძველზე (იხ.დანართი - ერთობლივი ხელშეკრულება).**

დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგძლივობაა ექვსი სემესტრი (3 წელი).

VIII. <u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ასტრონომიის, ასტროფიზიკის, ფიზიკის ან მათემატიკის სპეციალობით კურსდამთავრებულებს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება“ შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს ასტრონომიის, ასტროფიზიკის, ფიზიკის ან მათემატიკის სპეციალობით უცხოეთის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. ფაკულტეტის საბჭო (სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით) განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა. მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების, წარმოსადგენი დოკუმენტებისა და სხვა ასპექტების შესახებ.

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს საქართველოს მოქალაქე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე;
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. კანდიდატს რომელსაც გავლილი აქვს ინგლისური ან დასავლეთ ევროპულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა, გამოცდის ჩაბარება ან/და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება). გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე.
- დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოეთხოვება ქართული (გარდა ინგლისურენოვანი პროგრამისა) ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე. იგი ვალდებულია, წარმოადგინოს ქართული ენის B2 და ინგლისური ენის B1 (თუ ადასტურებს ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე) ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 65 points); IELTS (at least 5.5 points); FCE), ან ქართული/ინგლისური/დასავლეთ ევროპული საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი, ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ/ინგლისურ/დასავლეთ ევროპულ ენაში (გამოცდა ჩატარდება „ქართულის/ინგლისურის/დასავლეთ ევროპულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)" შესაბამისად). გამოცდა ბარდება საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული დადებითი ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას.
- საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ტადება ზეპირი ფორმით, დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა) (იხილეთ მიღების დოკუმენტი).
- დოქტორანტობის კანდიდატს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შედეგების შეფასებები.
- ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

გადასვლის წესის“ შესაბამისად.

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით. მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის მუდმივმოქმედი სადისერტაციო დარგობრივი კომისია, განიხილავს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობისთვის.

## IX. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

**გიორგი ჩაგელიშვილი:** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ე.ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. (საკონტაქტო ინფორმაცია: georgech123@yahoo.com 59955 37 20).

**რევაზ ჭიღლაძე:** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (საკონტაქტო ინფორმაცია: revazchigladze@yahoo.com 599-16-37-58).

## პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან:

უნივერსიტეტის მისიაში ფორმულირებული მიზნებიდან პროგრამა შეესაბამება კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და მეცნიერების ფუნდამენტური საკითხების კვლევებს. აღნიშნული პროგრამის არჩევანი განაპირობა ჩვენი ქვეყნის სამხრეთში ციური სხეულების შესწავლის დიდი ტრადიციების არსებობამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა **აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ,** ამასთანავე 30 წელზე მეტია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასტრონომიის მიმართულებით ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს, კურსდამთავრებულებიდან უკვე არიან დოქტორები და პროფესორები, მათგან დღეისათვის 10 -ზე მკვლევარი მუშაობს საქართველოს ე.ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

## X. პროგრამის მიზანი და ამოცანები:

ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის **მიზანია** მოამზადოს მაღალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიანი მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც შეძლებს:

- შეისწავლოს შერჩეული ციური სხეულები, კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.
- შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა კონკრეტულ დარგში, კონკრეტულ თემაზე ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- თეორიულთან ერთად დამოუკიდებელი პრაქტიკული სამეცნიერო კვლევა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ან კვლევა და სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აქედან გამომდინარე პროგრამის **ამოცანებია:**

- დოქტორანტს მისცეს თავისი კვლევის შესაბამისი მსოფლიოს მაშტაბით ბოლოს შექმილი მეცნიერული სიახლის შესახებ ცონდა;
- გაუღრმავოს ცოდნა როგორც დარგის განვითარების, ასევე მისი კვლევის ისტორიის სფეროში;
- განუვითაროს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- განუვითაროს არჩეული მიმართულების მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევის მაღალ დონეზე შესრულების უნარი.

- განუვითაროს დარგის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების კვლევაში გამოყენების უნარ-ჩვევები;
- დოქტორანტს გამოუმუშავოს წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევები.

## XI. დასაქმების სფეროები:

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებები: ობსერვატორიები, უნივერსიტეტები და სასწავლო თუ კვლევითი დაწესებულებები.
დოქტორს შეუძლია დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა თავისი სპეციალობის მიხედვით, რომელიც დადგენილია ამ დაწესებულებათა საშტატო ნომენკლატურით.

## XII. სწავლის შედეგები:

ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უყალიბდება შემდეგი სწვლის შედეგები:

| | |
|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | 1. დარგის თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით სისტემურად და კრიტიკულად აფასებს ასტრონომიის კონკრეტულ დისციპლინებში: მზის სისტემა, ჩვენი და გარეგალაქტიკური ციური ობიექტების, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენების საშუალებას იძლევა.<br><br>2. არსებულ ცოდნას ხელახლა იაზრებს და გადააფასებს კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, გეგმავს და ახორციელებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) ისეთ სამეცნიერო კვლევას, რომლის შედეგებსაც აქვს პრაქტიკული (გამოყენებითი) დანიშნულება. |
| უნარი | 3. ამუშავებს შერჩეული ციური ობიექტების დამზერილი მასალის მონაცემებს, რომელსაც მიიღებს ორიგინალური კვლევების ან დარგობრივი წყაროებიდან; ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზისა თუ სინთეზის საფუძველზე იღებს სწორ, სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.<br>4. განსაზღვრავს არჩეული ქვედარგის (მზის სისტემს, ჩვენი და გარეგალაქტიკური ობიექტები) ადგილს თანამედროვე მეცნიერებათა (საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ..) და ინტერდისციპლინურ კვლევებს შორის. ინტერდისციპლინური კვლევის გაძლიერების მიზნით წარმატებით თანამშრომლობს ასტრონომიის მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან.<br>5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ამზადებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და პუბლიკაციებს (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე ასტრონომიისა და ასტროფიზიკის დარგში). მიღებული ცოდნის საფუძველზე აგრძელებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სამეცნიერო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, ასევე ჯგუფურად მუშაობს სამეცნიერო კვლევებზე ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში. |
| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | 6. იღებს მონაწილეობას სამეცნიერო დისკუსიებში, წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას და იცავს არგუმენტირებულად. გამომუშავებული აქვს საწინააღმდეგო აზრის მოსმენისა და სამეცნიერო კამათის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი. ასევე აქვს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. |

| | |
|---|---|
| | 7. იყენებს სილაბუსების შედგენის პრინციპებს. ქმნის კონკრეტული დისციპლინების სასწავლო-მეთოდურ მასალებს, სილაბუსებს, სალექციო კურსებს და ლექციებს წარმართავს წარმატებულად. |

XIII. სტუდენტის შეფასება

**სასწავლო კომპონენტში** დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პორცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
**შეფასების სისტემა უშვებს:**
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა
დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და
მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების ან დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

**სემინარი** ფასდება ასქულიანი სისტემით: სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ. ხელმძღვანელი აფასებს 70 ქულით, კომისია -30-ით. ხელმძღვანელის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 36 და მეტი ქულით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება 30 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება 16 და მეტი ქულა. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება 51 და მეტი ქულა.

**დისერტაციის შეფასება**
დისერტაციის შეფასებისათვის დარგობრივი კოლეგიის თითოეული წევრი იყენებს შემდეგ სქემას:
ა) ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) –შედეგი, რომელიც, ხარვეზებისმიუხედავად, წაყენებულმოთხოვნებსმაინცაკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი(insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი(sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

დისერტაცია დაცულად ითვლება „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში.
დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

**პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100-ქულიანი სისტემით:**
ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა,
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები.

**შეფასების კრიტერიუმების განმარტება:**

